საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება და ცვლილების შეტანა

მისია

კოლეჯის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება. მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით, კოლეჯი ისწრაფვის პროფესიული სტუდენტის თეორიულ-პრაქტიკული ცოდნით და უნარებით აღჭურვისკენ, რაც ხელს შეუწყობს მის დასაქმებას და თვითრეალიზაციას.

ხედვა

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ხედვაა მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებითა და სწავლების მაღალი ხარისხით გახდეს ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება 2030 წლისთვის, რომელიც მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტებით უზრუნველჰყფოს შრომის ბაზარს.

ღირებულებები

- პროფესიონალიზმი;
- ჰუმანურობა;
- თანასწორობა;
- სამართლიანობა;
- ინოვაციებისკენ სწრაფვა.

მუხლი 1. კოლეჯის მისიის არსი

1. დაწესებულების მისია არის კოლეჯის იდენტობის გამომხატველი, რომელიც გადმოგვცემს მისი ფუნქციონირების მიზანს.
2. დაწესებულების მისიაში ჩანს კოლეჯის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მისი პროფილი.

3. დაწესებულების მისია ეხმიანება პროფესიული განათლების მიზნებს, რომელიც შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე.
4. დაწესებულების მისია უნდა იყოს ლაკონური, კარგად ფორმულირებული, გასაგები და ხაზს უსვამდეს კოლეჯის იდენტობა.
5. კოლეჯის მიერ შემუშავებული მისია პასუხობს შემდეგ კითხვებზე:
   - ვინ ვართ ჩვენ?
   - რისთვის არსებობს ჩვენი ორგანიზაცია?
   - ვინ არიან ჩვენი მომხმარებლები?
   - რა კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებას ვცდილობთ ჩვენი მომხმარებლებისთვის?
6. დაწესებულების მისიიდან გამომდინარეობს დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.
7. დაწესებულების ხედვა წარმოადგენს მის განაცხადს, თუ როგორი სურს რომ იყოს, როგორ წარმოუდგენია კოლეჯს საკთარი თავი.
8. კარგად ფორმულირებული ხედვა უნდა იყოს მოკლე (ორი-სამი წინადადება), მარტივად გასაგები ნებისმიერი მკითხველისთვის, მამოტივირებელი და ამბიციური.
9. დაწესებულების ხედვაში განსაზღვრულია დროის ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი გეგმავს ხედვის რეალიზებას.
10. დაწესებულებას გააჩნია, ასევე ღირებულებები. ეს არის კოლეჯის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც კოლოეჯი ახორციელებს თავის საქმიანობას.
11. ღირებულებები ერთი მხრივ ინფორმაციას აწვდის თანამშრომლებს კოლეჯში მოქმედი ორგანიზაციული კულტურის და იმ პრინციპების შესახებ, რომლის დაცვითაც უნდა იმუშაონ და მეორე მხრივ, საზოგადიებაში ხდება იმიჯის ფორმირების ნაწილი.
12. ღირებულებების რაოდენობა არ უნდა იყოს 5-6 ზე მეტი.
13. დაწესებულების მისია და ხედვა საფუძვლად უდევს კოლეჯის მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს.

მუხლი 2. კოლეჯის მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავება და საჯაროობის უზრუნველყოფა

1. კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართულები არიან კოლეჯის თანამშრომლები, სტუდენტები/მსმენელები, პროფესიული მასწავლებლები/განმახორციელებლები, კოლეჯის პარტნიორები, დამსაქმებლები, სხვა დაინტერესებული პირები.
2. მისიის შემუშავების პროცესის წარმართვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველჰყოფს მისიის შემუშავების პროცესში კოლეჯის პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვას.
3. სამუშაო ჯგუფს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველჰყოფს ჯგუფში სამუშაო პროცესის წარმართვას.
4. მისიის პროექტის განხილვის მიზნით, სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით ტარდება ღია პრეზენტაცია ფართო აუდიტორიისათვის, საჯაროობის უზრუნველსაყოფად, სადაც მოწვეულნი იქნებიან დაიტერესებული პირები. შეხვედრის შესახებ დაინტერესებულ პირებს ეცნობებათ შეხვედრამდე 3 სამუშაო დღით ადრე (პირადად/ ტელეფონით/ელ. ფოსტით). შესაძლებელია,

რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროექტი, განხილვამდე, დაინტერესებულ მხარეებს გაეგზავნოს ელექტრონული ფოსტით და ამავე გზით მიიღოს მათგან უკუკავშირი და კომენტარები.

5. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, საჯაროობის მიზნით, განთავსებულია:
   - კოლეჯის ვებ.გვერდზე
   - სტრატეგიულ გეგმაში
   - კოლეჯის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას
   - კოლეჯის შიდა ონლაინ სისტემაში.

კოლეჯის მისიის ხედვისა და ღირებულებების შეცვლა

1. მისიის ხედვის, ღირებულებების შეცვლა შესაძლოა განხორციელდეს კოლეჯის ხელმძღვანელის ან სხვა დაინტერესებული პირის ინიციატივით.
2. კოლეჯის მისია ხედვა და ღირებულებები ექვემდებარება, ასევე, გადახედვას სამ წელიწადში ერთხელ, კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შუალედური შეფასების პროცესში;
3. კოლეჯის მისიას, ხედვასა და ღირებულებებში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ცვლილებები ხორციელდება დაწესებულების დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, წინამდებარე წესის მე-2 მუხლის შესაბამისად.
4. შეცვლილი მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება საჯაროდ, კოლეჯის ოფიციალურ ვებ.გვერდზე და გამოიკვრება კოლეჯში.